განაცხადი მცირე პროექტების ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად

ტურიზმის ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი პროდუქციის განვითარების პილოტური პროექტები - 2025 წელი

24.04.2025

განაცხადის მიზნები **3**
ვის შეუძლია შემოიტანოს საპროექტო წინადადება? **4**
რა ფინანსდება? **6**
დამატებითი წესები და მოთხოვნები **6**
1. კულტურული ლანდშაფტისა და ტრადიციული არქიტექტურის პატივისცემა 6
2. ეკოლოგიური მდგრადობა 6
3. ტრადიციული სოფლის მეურნეობა და მეწარმეობა 7
4. მშენებლობის სტანდარტები და უსაფრთხოება 7
5. რაციონალური ბიუჯეტირება და დეტალურად დაგეგმვა 7
6. სამართლებრივ შესაბამისობა 7
შერჩევის კრიტერიუმები **8**
განრიგი **10**
განაცხადის წარდგენის პროცესი **11**
როგორ უნდა წარმოადგინოთ განაცხადი 11
შერჩევის პროცესი 12
ეტაპი 1: ფორმალური/ზოგადი მიმოხილვა 12
სტეჯი 2: ადგილზე გასვლით შემოწმება 13
ეტაპი 3: საბოლოო გადაწყვეტილება 14
ეტაპი 4: ხელშეკრულების გაფორმება 15
ატაპი 5: გრანტის მენეჯმენტი და მონიტორინგი 15
ეტაპი 6: BSEA-ის მიერ მონიტორინგი 16
ეტაპი 7: ანგარიშგება 16
საკონტაქტო ინფორმაცია **16**

დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

მცირე პროექტების ფინანსური მხარდაჭერის მიღება - განაცხადის მიზნები

ტურიზმის ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი პროდუქციის განვითარების პილოტური პროექტები - 2025 წელი

შავი ზღვის ეკო–აკადემია (BSEA), მდგრადი ეკო–განვითარების ფონდთან (FER) პარტნიორობითა და მაჭახელას და მტირალას ეროვნული პარკების ადმინისტრაციებთან და მაჭახელას დაცული ლანდშაფტის სამმართველოსთან თანამშრომლობით, ვიწვევთ მაჭახელას და მტირალას ეროვნული პარკების ბუფერის ზონებში მცხოვრებ მოსახლეობას, მეწარმეებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს, რათა წარმოადგინონ განაცხადები მცირე გრანტის მისაღებად (მაქსიმუმ 6,600 ლარამდე).

განაცხადის მიზნები

ეს საგრანტო კონკურსი მიმართულია მცირე ბიზნესისა და სხვადასხვა დამწყები ინიციატივების მხარდაჭერაზე, რომელთა მიზანია:

- ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების ნაკლოვანებების შევსების გათვალისწინება;
- მაღალი ხარისხის ადგილობრივი პროდუქციის შექმნა და პოპულარიზაცია (მათ შორის -შემდგომში “პროდუქტი მაჭახელადან” ნიშნის მინიჭება);
- მაჭახელას და მტირალას ეროვნული პარკების ბუფერული ზონის თემებს შორის თანამშრომლობისა და მდგრადი ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა;
- და იმის უზრუნველყოფა, რომ ეკონომიკური განვითარება შენარჩუნდება და თავსებადი იქნება ადგილობრივ კულტურული იდენტობასა და ეკოლოგიური ღირებულებებთან.

წარმოდგენილმა საპროექტო წინადადებებმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ამავე დროს ისინი თავსებადი უნდა იყოს ადგილობრივ უნიკალურ ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტთან.

მცირე პროექტების დაფინანსება ხდება პროექტის **“დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა”** ფარგლებში, რომელიც თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

ვის შეუძლია შემოიტანოს საპროექტო წინადადება?

კანდიდატების კატეგორია:

- ფიზიკური პირები, არაფორმალური სათემო ჯგუფები, არასამეწარმეო ორგანიზაციები და მიკრო-ბიზნესები;
- წინადადების შემომტანი(ები) უნდა ცხოვრობდეს(დნენ) ან საქმიანობს(დნენ) ბუფერული ზონის შემდეგ სოფლებში;

  ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი: ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ქოქოლეთი, ქვედა ქოქოლეთი, სკურდიდი, ჩიქუნეთი, ქედქედი, სინდიეთი, აჭარის ალმართი, ცხემლარა;

  ქედის მუნიციპალიტეტი: ზედა ბზუბზუ, ქვედა ბზუბზუ, მილისი, ქოსოფელი, ნამლისევი, უჩხითი, ზუნდაგა.

ბიზნესის სახეები, რომელთაც გავუწევთ ფინანსურ მხარდაჭერას

ჩვენ მიზანია გავუწიოთ მხარდაჭერა სამეწარმეო ინიციატივებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს ადგილობრივად ტურისტული შეთავაზების გაფართოებას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი შემოსავლების შესაძლებლობების შექმნას და ადგილობრივ თემებში თანამშრომლობის გაზრდას.

განსაკუთრებული ყურადღება ფინანსური მხარდაჭერისთვის მიექცევა იმ წარმოდგენილ პროექტებს/ბიზნესებს,რომლებიც ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების ნაკლოვანებების შევსებაზე იქნება მიმართული (განსაკუთრებით მტირალას და მაჭახელას ეროვნულ პარკებს შორის განთავსებული თემებიდან) და მათ, რომლებიც უწყობენ ხელს ადგილობრივ/ავთენტური პროდუქციის განვითარებას.

წარმოდგენილ განაცხადებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს, თუ როგორ უწყობს ხელს წარმოდგენილი პროექტი ადგილობრივი თემის განვითარებას და ბუნებრივი-კულტურული ლანდშაფტის დაცვას.

ჩვენ ვეძებთ კანდიდატებს, რომლებსაც:

- სურთ არსებული ბიზნესის გაფართოება;
- სურთ ახალი ბიზნესის წამოწყება;
- ან არიან სხვადასხვა დამწყები ინიციატივების მხარდაჭერები.

ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება მიემართოს შემდეგი ტიპის ბიზნესებზე და არა მხოლოდ:

- **ადგილობრივი საკვების პროდუქციის წარმოება** (მაგ. თაფლი, შავი ფხალის მჟავე, ბეთმეზის დამზადება,ხილის არაყი, თაფლის არაყი, ხმელი ყველი და სხვა ...);
- **ტრადიციული ხელსაქმე** (მაგ. ხის სუვენირების დამზადება, გოდორის ქსოვა, ქარგვა/ხელსაქმე);
- **ტურისტული და აგროტურიზმის მომსახურება** (მაგ. საოჯახო განთავსება,, სასწავლო და ეთნოგრაფიული ტური);
- **კულტურული, გასტრონომიური, ხელნაკეთების და გარემოსდაცვითი მასტერკლასები და სემინარები** ვიზიტორებისთვის ან ადგილობრივი თემების წარმომადგენლებისთვის;

დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა. პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

- **ეკოტურიზმის, კულტურული ტურიზმის და სოფლის ტურიზმის** დამწყები ინიციატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრადობის პრინციპებს;
- **ბუნებაზე დაფუძნებული აქტივობები და მომსახურებები** (მაგ. გიდის ერთად ტური, რომელიც ფოკუსირებულია უნიკალური კოლხური ტყის ბიომრავალფეროვნებაზე, ბუნების შესახებ საინტერპრეტაციო მასალები, ფრინველებზე დაკვირვების ან ბიომრავალფეროვნების შესახებ საინტერპრეტაციო ბილიკები, ტყეში გასვლითი ვორქშოფები და სემინარები ახალგაზრდებისთვის და ვიზიტორებისთვის).

ჩვენ პრიორიტეტს მივანიჭებთ პროექტებს, რომლებიც:

- პასუხისმგებლობით/მდგრადად იყენებენ ადგილობრივ ბუნებრივი რესურსებს;
- ინოვაციური გზით წარმოაჩენენ ადგილობრივი მემკვიდრეობის ნიმუშებს;
- ოპერირებენ/მუშაობენ მდგრადი ტურიზმის პრინციპებით;
- ეხმარებიან ტრადიციულ არქიტექტურულ და კულტურულ ლანდშაფტის დაცვას;
- უზრუნველყოფენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლების ჩართულობას და ადგილობრივი ეკონომიკის გრძელვადიან გაუმჯობესებას.

მაჭახელას ხეობის ფარგლებში გრანტებისთვის დამატებითი კრიტერიუმები იქნება:

- ინიციატივები უნდა შეესაბამებოდეს მაჭახელას დაცული ლანდშაფტის მიზნებს, რაც მოიცავს ბიომრავალფეროვნების დაცვას, მიწის მდგრად გამოყენებას და ტრადიციული ლანდშაფტის დაცვას;
- პრიორიტეტი მიენიჭება იმ ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი “პროდუქტი მაჭახელადან” ბრენდის განვითარებას, რომელიც იმაზე მეტია ვიდრე მხოლოდ ხარისხის ნიშანი – ეს არის ხეობის გაერთიანებული/კოლექტიური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ხეობის, იქ მცხოვრები თემის წარმომადგენლების და იქაური ჩვევების პოპულარიზაციას, რომლებიც ქმნიან ავთენტურ პროდუქციასა და მომსახურეობებს.

რა ფინანსდება?

ინდივიდუალური გრანტის თანხა შეადგენს მაქსიმუმ 6,600 ლარს. თანხის გაცემა არ მოხდება ფულადი სახით. “შავი ზღვის ეკო აკადემია” თავად შეიძენს და გამარჯვებულ კანდიდატს გადასცემს პროექტით გათვალისწინებულ მასალებს/მოწყობილობებს//მომსახურებას.

ჩვენ ვაფინანსებთ მხოლოდ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს. შესაფერისი ხარჯები მოიცავს შემდეგს, მაგალითად:

- **მოწყობილობები და ხელსაწყოები** (მაგ., სამზარეულოს ტექნიკა, ხელსაქმის ხელსაწყოები, თაფლის მოვლის აღჭურვილობა);
- **რემონტის ან მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის მასალები** (მაგ., საინტერპრეტაციო ბილიკის მარკირება, ვიზიტორთა მოსასვენებელი სივრცე, ეკო-მეგობრული გარემოს გაუმჯობესება);
- ადგილობრივი პროდუქციის **ბრენდინგი და შეფუთვა/დაფასოება;**

- **მარკეტინგისა და რეკლამირების მასალები** (მაგ., ბროშურები, ეტიკეტირება, ონლაინ ინფორმაციის მომზადება);
- **საგანმანათლებლო მასალები** და ხელსაწყოები, რომლებიც საჭიროა ვორქშოფების/სემინარებს ჩატარებისთვის ან თემის წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.

დამატებითი წესები და მოთხოვნები

ადგილობრივი ეკოლოგიური, კულტურული და არქიტექტურული ღირებულებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფა, ყველა მოწოდებული პროექტი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პირობებს:

1. კულტურული ლანდშაფტისა და ტრადიციული არქიტექტურის პატივისცემა

- ყველა განხორციელებულმა რემონტისა და მშენებლობის სამუშაოებმა უნდა უზრუნველყონ ადგილობრივ ტრადიციულ არქიტექტურული ხასიათის დაცვა ან შეესაბამისობაში ყოფნა. ისინი ჰარმონიულად უნდა **ერწყმოდეს გარშემო არსებულ ბუნებრივ და კულტურულ კონტექსტს;**
- აუცილებელია გამოყენებული იყოს **ბუნებრივი და ადგილობრივი არეალისთვის დამახასიათებელი მასალა** (მაგ., ხე, ქვა);
- **პლასტიკური ელემენტების გამოყენება უნდა შეიზღუდოს მინიმალურამდე** აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე;
- პროექტები, რომლებიც ვიზუალურად დაარღვევენ ადგილობრივ ლანდშაფტს ან არ შეესაბამებიან არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებს, ფინანსურ მხარდაჭერას არ მიიღებენ.

2. ეკოლოგიური მდგრადობა

- საპროექტო აქტივობები **არ უნდა წარმოადგენდნენ რაიმე სახის საფრთხეს ბუნებრივ გარემოზე.**

  პროექტები უნდა მოიცავდნენ გარემოსადმი პასუხისმგებლობის პრაქტიკებს, მაგალითად:

  - ნარჩენების შემცირება და მართვა;
  - ეკომეგობრული ფილტრების ან ჩამდინარი წყლების (საკანალიზაციო სისტემის) სისტემების გამოყენება;
  - გარემოს დაბინძურებისა და ლანდშაფტის დაზიანების თავიდან აცილება.
- პროექტები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ გარემოზე, დაფინანსებას არ მიიღებენ.

3. ტრადიციული სოფლის მეურნეობა და მეწარმეობა

- მხარდაჭერილი აქტივობები შეიძლება მოიცავდნენ **ტრადიციული სოფლის მეურნეობის პრაქტიკებს** და ადგილობრივ მეწარმეობას, თუ:

- ისინი ეკოლოგიურად მდგრადია;
- არ აზიანებს ადგილობრივ ეკოსისტემას ან კულტურულ ლანდშაფტს.

4. მშენებლობის სტანდარტები და უსაფრთხოება

- ყველა მშენებლობა და სარემონტო სამუშაო უნდა იყოს განხორციელებული **მოქმედი კანონებისა და რეგულაციების** შესაბამისად;
- პროექტში სავალდებულოა დასრულებადი/სრული სამუშაოების გათვალისწინება — პროექტები, რომელითაც გათვალისწინებული დაუცველი გაყვანილობები**,** დაუსრულებელი კონსტრუქციები ან სახიფათო/არა უსაფრთხო პირობები, არ მიიღებენ მხარდაჭერას.

5. რაციონალური ბიუჯეტირება და დეტალურად დაგეგმვა

ჩვენ ველოდებით კარგად მოფიქრებულ, რეალისტურ და ხარჯთეფექტურ საპროექტო წინადადებებს,, რომლებიც შეესაბამება არსებულ საბაზრო ფასებს.

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინოს დეტალური ბიუჯეტი და თანდაურთოს შესაბამისი მხარდაჭერის დოკუმენტები, მათ შორის, მაგალითად:

- ხარჯების შეფასებები ან მომწოდებლების შეთავაზებების დოკუმენტები;
- გეგმა ან ნახაზი/დიზაინები, თუ პროექტით დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოები;
- ინვოისები, რომლებიც ადასტურებენ მითითებულ ხარჯებს.

6. სამართლებრივ შესაბამისობა

ყველა საპროექტო აქტივობა, რომელიც მხარდაჭერილი იქნება გრანტით, უნდა შესრულდეს პროექტისთვის რელევანტური მოქმედი კანონებისა და რეგულაციების სრული შესაბამისობის გათვალისწინებით.
განმცხადებელი პასუხისმგებელია წარმოადგინოს ყველა საჭირო ნებართვა, შეტყობინება ან მტკიცებულება, რასაც ითვალისწინებს/მოითხოვს ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა.

შერჩევის კრიტერიუმები

ყოველი წარმოდგენილი განაცხადი შეაფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე.

0 ქულის მიღება რომელიმე ჩამოთვლილი კატეგორიაში ნიშნავს ავტომატურ დისკვალიფიკაციას/უარის თქმას.

No.	კრიტერიუმი	აღწერა	ქულა (მაქსიმალური)
1	გრანტის მიზნებთან შესაბამისობა	პროექტი მკაფიოდ შეესაბამება იმ ზოგად მიზნებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც	5

		განსაზღვრულია საგრანტის კონკურსში.	
2	პროექტის ხარისხი და უნიკალობა	ნათლადაა წარმოდგენილი პროექტის აღწერა, კარგადაა წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა, ლოგიკურადაა წარმოდგენილი იდეა, ნათლად ჩანს გრანტის გავლენა ბიზნესის შექმნაზე/გაფართოებაზე და წარმოაჩენს რეალისტურ სამომავლო პერსპექტივებს.	5
3	ეკონომიკური მიზანშეწონილობა და ბიუჯეტის ეფექტურობა	დასაბუთებული ხარჯები; ზუსტი საბაზარო ფასებზე დაფუძნებული საბიუჯეტო გამოთვლები; ხარჯების გამჭვირვალედ ჩაშლა; ნათლად ჩანს რეალისტური ბიუჯეტირება და მდგრადი ქმედებების განხორციელება.	5
4	პროექტის განხორციელებისთვის მზადყოფნა	წარმოდგენილია ყველა საჭირო ნებართვა და დოკუმენტი (მაგ., ქონების საკუთრების დამადასტურებელი საბუთი), და არ არსებობს რაიმე დაბრკოლება პროექტის გამხორციელების დაუყოვნებლივად დასაწყებად.	5
5	არსებული ბაზრის აუთვისებელი ნიშა / ტურისტული შეთავაზების გაზრდა	აგვარებს კონკრეტულ აუთვისებელი ნიშას ადგილობრივ ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ან შეთავაზებაში. მხარს უჭერს ადგილობრივი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას.	5
6	ადგილობრივი რესურსების გამოყენება	პასუხისმგებლობით და ინოვაციურად იყენებს ადგილობრივ ბუნებრივ, კულტურულ და ადამიანურ რესურსებს.	3
7	თანამშრომლობის პოტენციალი	შექმნის პარტნიორობას სხვა ბიზნესებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მაჭახელას ხეობის შემთხვევაში, მოიცავს შესაძლებლობას შეუერთდეს “პროდუქტი მაჭახელადან” სისტემას.	3

8	გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა	გამოყენებულია ეკო მეგობრული პრაქტიკები და ეხმარება გარემოს დაცვას. პროექტები, რომლებიც საფრთხის შემცველია ბუნებრივ გარემოზე, დაფინანსებას არ მიიღებენ.	5
9	კულტურული მდგრადობის მხარდაჭერა.	აძლიერებს ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს ან ხელს უწყობს გადავიწყებული მემკვიდრეობისა და ცოდნის აღდგენას.	5

განრიგი

საგრანტო კონკურსის განხორციელების განრიგია:

ეტაპი	თარიღი
საგრანტო კონკურსის გამოცხადება	2025 წლის 24 აპრილი
თემებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	*2025 წლის 25 აპრილი-6 მაისი (რვა სოფელში)*
განმცხადებლებისთვის ტრენინგ/ვორქშოფის ჩატარება	*2025 წლის 26 მაისი-6 ივნისი (სამი 2 დღიანი შეხვედრა)*

საპროექტო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა	**2025 წლის 10 ივნისი, 16:00 საათი**
ადგილზე ვიზიტი და ფორმალური შეფასება	2025 წლის 16 ივნისი-4 ივლისი
წინადადებების განხილვა კომისიის მიერ	2025 წლის 7-8 ივლისი
შედეგების გამოცხადება	2025 წლის 9 ივლისი
ხელშეკრულების გაფორმება	2025 წლის 14 ივლისამდე
პროექტების განხორციელების პერიოდი	2025 წლის 14 ივლისი-5 სექტემბერი
საბოლოო ანგარიშგება და პრომო აქტივობები	2025 წლის 30 სექტემბრამდე
რეგიონული ფორუმზე პროექტების წარმოდგენა	2025 წლის ოქტომბერი, ზუსტი თარიღი დადგინდება მოგვიანებით

განაცხადის წარდგენის პროცესი

როგორ უნდა წარმოადგინოთ განაცხადი

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ **შევსებული განაცხადის ფორმა ყველა საჭირო დანართთან ერთად**.

ინსტრუქცია:

1. **განაცხადის ფორმის ჩამოტვირთვა ან მიღება:**
   განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია საიტებზე www.bsea.ge ან www.mpl.ge, ან

შესაძლებელია მისი მიღება/მოპოვება პირადად მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ოფისიდან ან "შავი ზღვის ეკო აკადემიის" (Black Sea Eco Academy) ოფისიდან.

2. **ყურადღებით შეავსეთ საპროექტო განაცხადის ფორმა:**

   - ფორმის ყველა განყოფილება დეტალურად შეავსეთ;
   - აღწერეთ ნათლად თქვენი პროექტი, პროექტის მიზნები და მარტივი, მაგრამ რეალისტური ბიუჯეტი, რომელიც ასახავს არსებულ საბაზრო ფასებს;
   - დარწმუნდით, რომ ყველა საჭირო დანართი (მაგ., ბიუჯეტი, ინვოისები, მხარდაჭერის წერილები და ა.შ.) წარმოდგენილია.

<u>არასრულად შევსებულმა განაცხადის ფორმამ ან დანართების არასრულყოფილად წარმოდგენამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოდგენილი საპროექტო წინადადების დისკვალიფიკაცია/უარყოფა</u>

3. **განაცხადის წარდგენა**
   გთხოვთ, განაცხადი წარმოადგინოთ ორივე ფორმით:

1. პირადად - მიიტანოთ დალუქულ კონვერტში მოთავსებული ამობეჭდილი დოკუმენტები რომელიმე მისამართზე:

შავი ზღვის ეკო აკადემია (BSEA) ოფისი

მისამართი: ბათუმი, ფარნავაზ მეფის,ქ 79

სამუშაო საათები: 10:00-17:00

საკონტაქტო პირი: მანანა ქარცივაძე (ტელ: 593 40 43 93)

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

მისამართი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ: აჭარის აღმართი

სამუშაო საათები:9:00-18:00

საკონტაქტო პირი: დინა მახარაძე (ტელ: 595 08 60 75)

2. **ასევე ონლაინ** - შევსებული განაცხადის ფორმა (.doc) და ბიუჯეტი (.excel)) გამოაგზავნოთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: info@bsea.org

პროექტის წარდენის ბოლო ვადა: 10 ივნისი, 16:00 საათი

4. დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება. ოფიციალური წარდგენის თარიღი არის განაცხადის ფაქტობრივი მიღების თარიღი.

დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

5. წარდგენის დადასტურება
განმცხადებლები წინადადებების ჩაბარებისას მიიღებენ ოფიციალურ წინადადების ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს.

“შავი ზღვის ეკო აკადემიის” (BSEA) მიერ განმცხადებლებისთვის მოეწყობა დამატებითი შეხვედრები. მონაწილეობა ნებაყოფლობითია. შეხვედრის თემები მოიცავს ბუღალტერიას და ბიზნესის მართვას. ასევე, გაეცემა პასუხი საბაზისო კითხვებს სააპლიკაციო ფორმებთან დაკავშირებით

შერჩევის პროცესი

ეტაპი 1: **ფორმალური/ზოგადი მიმოხილვა**

შიდა კომისია შეამოწმებს განაცხადის დოკუმენტების სრულყოფილ წარმოდგენას, წარმოდგენის უფლებამოსილებას და კონკურსის წესებთან შესაბამისობას.

განაცხადები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფორმალურ მოთხოვნებს, უარყოფილი იქნება ამ ეტაპზე და იღებენ ფორმალურ ინფორმაციას უარყოფასთან დაკავშირებით.

ფორმალური კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წარმოდგენილი წინადადება:

- წარდგენის ბოლო თარიღის ვადა დაცულია – განაცხადი წარდგენილია დროულად;
- სრულყოფილი/შევსებული განაცხადის ფორმა – ყველა საჭირო ველი და განყოფილება შევსებულია;
- საჭიროდანართების არსებობა – როგორიცაა: ბიუჯეტი, ხელმოწერები, ან მხარდამჭერი დოკუმენტები;
- წინადადების წარდგენის ფორმატი – განაცხადი წარმოდგენილია საჭირო ფორმატით (მაგ., ფიზიკურად წარმოდგენილია განაცხადი და დანართები ბეჭდვითი ფორმით დალუქული კონვერტით, ციფრული ვარიანტი განაცხადისა და ბიუჯეტის გამოგზავნილია ელ-ფოსტაზე);
- უფლებამოსილების დადასტურება – განმცხადებელი აკმაყოფილებს ძირითადი კრიტერიუმებს (მაგ., სამართლებრივი სტატუსი, მიზნობრივი ჯგუფი).

რისი კორექცია/გასწორება არის შესაძლებელი:

- აშკარა შეცდომები ტექსტის წერისას სიტყვაში ან მცირე შეცდომა გამოთვლისას.

სტეჯი 2: ადგილზე გასვლით შემოწმება

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის გუნდი ადგილზე გასვლით მოინახულებს შერჩეულ თითოეულ პროექტის არეალს, რათა:

- გადაამოწმოს წარმოდგენილი პროექტის განხორციელების რეალისტური შესაძლებლობა;
- გაესაუბროს განმცხადებელს (კანდიდატს);
- და დაადოკუმენტიროს არსებული პირობები.

ნახვის მიზანია, რომ **შემოწმდეს განაცხადში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე.**

ვიზიტის ანგარიში, რომელიც მოიცავს **ფოტოდოკუმენტაციას**, იქნება მომზადებული და წარდგენილი **შეფასების კომიტეტისთვის** წარმოდგენილი განაცხადის მასალებთან ერთად.

ვიზიტის ანგარიში შექმნის რეალურისტური მდგომარეობის სურათს ადგილზე არსებული პირობების შესახებ, მათ შორის:

- წარმოაჩენს წარმოდგენილ განაცხადს, ბიუჯეტსა და არსებულ რეალობის შორის განსხვავებებს;
- და პასუხობს თუ არა საპროექტო იდეა გამოცხადებული საგრანტო განაცხადების მიღების მიზნებს.

დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დანართებად ახლდეს განაცხადს, შეიძლება იყოს, მაგალითად:

- **რუკები, სიტუაციური ჩანახატი/ესკიზი და მახასიათებელი ნახატები** – რაც წარმოაჩენს პროექტის განხორციელების მდებარეობას (მხოლოდ იმ შემთხვევაში საჭიროა, თუ სრულყოფილი მშენებლობის გეგმა არ არის მოწოდებული);
- **დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ქონებაზე სამართლებრივ საკუთრების უფლებას** (საჭიროა, თუ ოპერაცია მოიცავს კონკრეტულ ქონებასთან მუდმივად დაკავშირებულ ამოცანებს; მიიღება როგორც ორიგინალი ასევე, ასლი);
- **სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი** – ბიზნესის გაფართოების წინადადების შემთხვევაში ადასტურებს განმცხადებლის იდენტიფიკაციის ნომერს;
- **თანხმობის განცხადება** ქონების მფლობელის (ების), თანა-მფლობელის (ების) – საჭიროა, თუ საპროექტო საქმიანობა მიმდინარეობს იმ მიწაზე, რომელიც არ არის ადმინისტრაციულად მხოლოდ განმცხადებლის საკუთრებაში ან თანამონაწილეობრის მფლობელობაში და არის საერთო საკუთრობის ქვეშ, და ამით ადასტურებს, რომ აცხადებს თანხმობას პროექტის განხორციელებაზე;
- **მშენებლობის ნებართვა**, საჭიროების შემთხვევაში ან სხვა აუცილებელი თანხმობები.

ეტაპი 3: საბოლოო გადაწყვეტილება

სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლობითი წინადადებების შერჩევის კომისია აფასებს წინადადებებს ზემოთ მოწოდებული კრიტერიუმების საფუძველზე.

შეფასების კომისია/კომიტეტი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

ყველა განაცხადი და ადგილზე გასვლითი ვიზიტების ჩანაწერები განხილული და შეფასებული იქნება **შერჩევის კომისიის/კომიტეტის** მიერ (BSEA, FER, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები, ადგილობრივი ხელისუფლება, ექსპერტები).

კომისია/კომიტეტი მუშაობს დამოუკიდებლად. **მისი გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ გასაჩივრდება.**

კომისიის გადაწყვეტილების შესაძლო შედეგები:

- **შესაძლებელია სრული დაფინანსება** – განაცხადი დამტკიცებულია იმ ფორმით, როგორც წარდგენილი;
- **შესაძლებელია დაფინანსება პირობებით** – განაცხადი დამტკიცებულია დასაფინანსებლად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ეთანხმება მოთხოვნილ ცვლილებებს ან კომიტეტის მიერ მოწოდებული სპეციფიკური კომენტარებს;
- **შესაძლებელი დაფინანსება ბიუჯეტის მოდიფიკაციის შემთხვევაში** – კომიტეტი შეიძლება შეთავაზოს ბიუჯეტის ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანხების **უფრო ეფექტური და რაციონალური გამოყენება**. ეს შეიძლება მოიცავდეს:
  – მოთხოვნილი **გრანტის რაოდენობის შემცირებას;**
  – **ბიუჯეტის კატეგორიების კორექტირებას;**
  – ან, დასაბუთებულად აუცილებლობის შემთხვევაში, **გრანტის რაოდენობის ლიმიტის ზრდას.**

შერჩევა და ადგილებზე განაწილება:

უმაღლესი ქულებით უფლებამოსილი საპროექტო წინადადებების შერჩევა გაგრძელდება, სანამ **მუნიციპალიტეტში დაგეგმილი დაფინანსების განაწილება არ დასრულდება:**

– **ხელვაჩაურის** მუნიციპალიტეტიდან – **10 პროექტი**;
– **ქედას** მუნიციპალიტეტიდან – **5 პროექტი.**

თუ განაცხადების მიღებისთვის გათვალისწინებული ხელმისაწვდომი საგრანტო **ფინანსები არ ამოიწურა სრულად**, კომიტეტს შეუძლია შემოსული განაცხადების სარეზერვო სიიდან **დააფინასოს დამატებითი პროექტები** რანგირებისა და მინიჭებული ქულების მიხედვით

კომიტეტის შეხვედრის შემდეგ მომზადდება ოფიციალური **რანგირებული პროექტების სია,** რომელსაც მოიცავს:

– **დაფინანსებისთვის შერჩეულ პროექტებს;**
– **სარეზერვო სიაში მოხვედრილი პროექტებს,** რომლებიც შეიძლება დაფინანსდეს, თუ დამატებითი ფონდები იქნება ხელმისაწვდომი;
– და **დაფინანსებისთვის დახარვეზებულ პროექტებს** (პროექტებს, რომლებზეც უარი ითქვა).

თუ დაფინანსებისთვის შერჩეულმა კანდიდატმა **არ დაიწყო პროექტის განხორციელება, დაფინანსება გადაეცემა სარეზერვო სიაში მოხვედრილ პროექტს**, რა თქმა უნდა რანგირების და ქულების მიხედვით. ერთნაირი შეფასების ქულების არსებობის შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელი მთავარი ორგანიზაციები (BSEA და FER) მიიღებენ გადაწყბეტილებას იმ პროექტის დაფინანსებაზე, რომელებიც უკეთესად პასუხობს საგრანტო განაცხადის მიზნებს.

ეტაპი 4: ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებული კანდიდატი მიიღებს შეტყობინებას შეფასების კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ, ეს შეტყობინება შეიცავს:

- შეფასების შედეგი;

- პროექტში ან ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შემოთავაზება (თუ არის გათვალისწინებული);
- და პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

შერჩეული კანდიდატები, რომლებიც ეთანხმებიან შეთავაზებულ პირობებს, მოწვეული იქნებიან გრანტის მიღების ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად რათა, დაიწყონ პროექტის განხორციელება.

თუ კანდიდატი არ ეთანხმება პირობებს ან ჩამოცილდება პროცესს, მასთან ხელშეკრულება არ იქნება ხელმოწერილი. ასეთ შემთხვევებში, შემდეგი პროექტი სარეზერვო სიიდან (რანგირების და ხელმისაწვდომი ფონდების შესაბამისად) შეიძლება იქნეს მოწვეული გრანტის მისაღებად.

ატაპი 5: გრანტის მენეჯმენტი და მონიტორინგი

საგრანტო პროექტისთვის საჭირო მასალა/ნივთი/მომსახურება შეძენილი და მიწოდებული იქნება ბენეფიციარისთვის. ბენეფიციარები დაფინანსებას არ მიიღებენ პირდაპირ თანხის სახით.

“შავი ზღვის ეკო აკადემია” (BSEA) სრულად არის პასუხისმგებელი საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, რომელიც **პირდაპირ მომწოდებლებიდან** ხდება, **დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე,** რომელიც შედის განცხადებაში და **კომიტეტის მიერ დამტკიცებულია.**

მხოლოდ დამტკიცებულ ბიუჯეტში ჩამოთვლილი ნივთები და მომსახურებები იქნება შეძენილი. ნებისმიერი დამატებითი ან არ დამტკიცებული ხარჯები დაფინანსებაში არ

პროექტის განხორციელების მხარდაჭერა

- ყოველ ბენეფიციარს ეყოლება პროექტის მხრიდან პიროვნება,რომელიც გაუწევს დახმარებას საქონლის შეძენის, ბრენდინგისა და ანგარიშგების საკითხებში;
- პროექტის განხორციელების დაწყებისას ჩატარდება ინდივიდუალური შეხვედრა რათა მოხდეს ერთიანი შეთანხმება მოლოდინების, დროის გრაფიკის და ხარისხის სტანდარტების შესახებ.

ეტაპი 6: BSEA-ის მიერ მონიტორინგი

- განხორციელდება არა ნაკლებ 2 ადგილზე გასვლისთი ვიზიტი: შუაედური (ხელშეკრულების ხელმოწერიდა 4 კვირის განმავლობაში) და საბოლოო (პროექტის დასრულებისას);
- გასვლით ვიზიტებში შედის ფოტო დოკუმენტირება, შესრულებული სამუშაოების სიის გადახედვა და ბენეფიციარის მხრიდან გამოხმაურება.

ეტაპი 7: ანგარიშგება

- საბოლოო ანგარიში ბენეფიციარის მხრიდან უნდა იქნეს მოწოდებული იმ თარიღის გათვალისწინებით, რაც მინიშნებული ხელშეკრულებაში, მაგალითად: განხორციელებული აქტივობების შეჯამება, შედეგები, მიღებული გამოცდილება

(სამომავლოდ გასათვალისწინებელი გაკვეთილები) და მინიმუმ ხუთი მაღალი რეზოლუციის ფოტო;

- ბენეფიციარმა უნდა მოგვაწოდოს განხორციელებული პროექტის შესახებ მოკლე ისტორია წერილობითი ფორმით ვებგვერდზე ორგანიზაციის განსათავსებლად.

შენიშვნა!!

პროექტის დასრულების შემდეგ, ბენეფიციარებმა აუცილებლად უნდა განათავსონ მიღებული პროექტის დამფინანსებელი დონორის შესახებ ინფორმაცია ხილვად ადგილას.

საკონტაქტო ინფორმაცია

შავი ზღვის ეკო აკადემია (BSEA) ოფისი

მისამართი: ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ 79

სამუშაო საათები: 10:00-17:00

საკონტაქტო პირი: მანანა ქარცივაძე (ტელ: 593 40 43 93)

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

მისამართი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ: აჭარის აღმართი

სამუშაო საათები:9:00-18:00

საკონტაქტო პირი: დინა მახარაძე (ტელ: 595 08 60 75)